

## ენათმეცნიერება Linguistic

ლექსიკურ-სემანტიკურ ველთა ვარიაციულობა ფრანგული ენის  
ტერიტორიულ ვარიანტებში

ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველოe-mail: [tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge](mailto:tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.01>

SJIF 2025: 8.584

სტატიაში წარმოდგენილია “განათლების” ლექსიკურ - სემანტიკურ ველთა ონომო - სემასიოლოგიური ანალიზის რეზულტატები ფრანგული ენის ოთხ ვარიანტში (საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიისა და კანადის). კვლევის შედეგად, გამოვლინდა მსგავსებანი და განსხვავებანი დენოტატიურ და სიგნიფიკატიურ დონეებზე, რის შედეგადაც გამოიყო დენოტატიური, სიგნიფიკატიური და დენოტატიურ - სიგნიფიკატიური დივერგენტები. დენოტატიურ - სიგნიფიკატიურთა გადახლართვის არსებობა საფუძველს იძლევა, რომ ვილაპარაკოთ ლექსიკურ - სემანტიკურ ველთა ვარიაციულობაზე.

მნიშვნელობათა რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, საერთოფრანგული სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში და დენოტატურ - სემანტიკურ დივერგენტთა წარმოქმნაში იზრდება ლექსიკურ - სემანტიკური ველის «განათლება»-ს ვარიაციულობა ფრანგული ენის ტერიტორიალურ ვარიანტებში.

ფრანგული ენის ტერიტორიულ ვარიანტთა (საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიისა და კვებეკის) ლექსიკო-სემანტიკურ სისტემაში შეიქმნა სპეციფიკურ დენოტატურ, სიგნიფიკატურ და დენოტატურ-სიგნიფიკატურ ელემენტთა მდიდარი ფენა. სემანტიკურ დივერგენტთა სფეროს განეკუთვნებიან ლექსემები, რომლებიც ერთნაირად არიან ცნობილნი სხვადასხვა ტერიტორიაზე, მაგრამ გააჩნიათ განსხვავება სიტყვის მნიშვნელობის დენოტატიურ ან სიგნიფიკატიურ ნაწილში. გარდა ამისა, მსგავსი გადახრები შესაძლებელია შეეხოს ფუნქციონალურ - სემანტიკურ კატეგორიებსაც, რომლებიც აღინიშნება სიტყვის მნიშვნელობაში. შესაბამისი გადახრების შედეგად, შეიძლება გამოიყოს დენოტატიური, სიგნიფიკატიური და ფუნქციონალურ - სემანტიკური დივერგენტები.

**საკვანძო სიტყვები:** ლექსიკურ - სემანტიკური ველი, ფრანგული ენის ტერიტორიული ვარიანტები, სიტყვის შიდა ფორმა, დენოტატი, სიგნიფიკატი, დენოტატიური დივერგენტები, სიგნიფიკატიური დივერგენტები, დენოტატიურ - სიგნიფიკატიური დივერგენტები.

ენის შესწავლა ვარაუდობს მისი შიდა კანონებისა და სოციალური ბუნების არსის კვლევას. სოციალური და შიდასტრუქტურული ურთიერთობის პრობლემა განეკუთვნება ენის თანამედროვე მეცნიერების ძირითად საკითხებს, რომლებშიც ენათა წარმოშობისა და კლასიფიკაციის ტრადიციული პრობლემების გვერდით, აქტუალური ხდება ენათა თანამედროვე მდგომარეობის საკითხები. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში, შესამჩნევად ამაღლდა ინტერესი პოლინაციონალური ენების მიმართ, რადგან თანამედროვე სამყაროში ისინი იკავებენ განსაკუთრებულ ადგილს. ცხადია, რომ აქტუალურია ფრანგული პოლინაციონალური ენის ვარიანტთა კომპლექსური კვლევა. ეთნოკულტურული, სოციოლინგვისტური და საკუთრივ ლინგვისტური მიდგომების გამოყენება, ფრანგული ენის ტერიტორიულ ვარიანტთა ანალიზისას, მნიშვნელოვანია ენის ფუნქციონირების პრობლემათა გადაწყვეტისათვის ფრანგულენოვანი სამყაროს სხვადასხვა არეალში. ფრანგული ენის ოთხი ვარიანტის ჩარჩოებში, განვიხილავთ იმ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ ლექსიკო-სემანტიკურ ველს «განათლება» – «სასწავლო დაწესებულებები», «დიპლომები», «მასწავლებლები» და «მოსწავლეები». თითოეული ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი შეიცავს ლექსიკურ ქვეჯგუფებს. ამ სტატიაში განვიხილავთ იმ სახელწოდებათა გარეგან ფორმას, რომლებიც შედიან მითითებულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებში, ასევე მათ შიდა ფორმას, დენოტატიურ და სიგნიფიკატიურ შემადგენელ მნიშვნელობებს. სახელწოდებათა შიდა ფორმა წარმოადგენს ლექსიკურ ერთეულთა (სიტყვათა და სიტყვაშეერთებებისა) გარეგან გარსს. სიტყვის შიდა ფორმა არის განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც აირჩევა მოლაპარაკის მიერ ნომინაციის პროცესში. მაგალითად, კვებეკური **coffre à crayons** 'ფანქრების კოლოფი' და ბელგიური **cassette** 'ზარდახშა, ყუთი', რომელთა განმასხვავებელი ნიშანია კოლოფი მართკუთხა ფორმის სახურავით. სიტყვის შიდა ფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული დენოტატურ მნიშვნელობასთან. დენოტატი - არის საგანი ან მოვლენა რეალური სინამდვილისა. დენოტატური მნიშვნელობა, ანუ დენოტატი, შედის მნიშვნელობის ცნობით ბირთვში და წარმოადგენს აზრის ობიექტურ კომპონენტს. დენოტატის განმასხვავებელი თვისებაა ჩვენს ცნობიერებაში წარმოდგენათა სახით ასახვის უნარი (სიგნიფიკატისაგან განსხვავებით, რომელიც წარმოგვიდგენს ცნებას). საგნის ნიშანთა ერთობლიობა ფორმირებს სიგნიფიკატს, ან სიგნიფიკატურ მნიშვნელობას სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში. სიგნიფიკატი განეკუთვნება ენას: იგი წარმოადგენს ქმედების ელემენტთა დანაწევრების, განზოგადებისა და კლასიფიკაციის რეზულტატს. ამ განმარტებით, დენოტატი და სიგნიფიკატი წარმოადგენენ ცნებებს, რომლებიც შეესაბამებიან ენობრივ ნიშნებს, როგორც ორი მხარე - გარეთა და შიდა: დენოტატური - «ადმნიშვნელი», სიგნიფიკატური კი - «ნიშნადი, მნიშვნელობის მქონე».

ფრანგული ენის ტერიტორიულ ვარიანტთა (საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიისა და კვებეკის) ლექსიკო-სემანტიკურ სისტემაში შეიქმნა სპეციფიკურ დენოტატურ, სიგნიფიკატურ და დენოტატურ-სიგნიფიკატურ ელემენტთა მდიდარი ფენა. სემანტიკურ დივერგენტთა სფეროს განეკუთვნებიან ლექსემები, რომლებიც ერთნაირად არიან ცნობილნი სხვადასხვა ტერიტორიაზე, მაგრამ გააჩნიათ განსხვავება სიტყვის მნიშვნელობის დენოტატიურ ან

სიგნიფიკატიურ ნაწილში. გარდა ამისა, მსგავსი გადახრები შესაძლებელია შეეხოს ფუნქციონალურ - სემანტიკურ კატეგორიებსაც, რომლებიც აღნიშნება სიტყვის მნიშვნელობაში. შესაბამისი გადახრების შედეგად, შეიძლება გამოიყოს დენოტატიური, სიგნიფიკატიური და ფუნქციონალურ - სემანტიკური დივერგენტები.

დენოტატიური და სიგნიფიკატიური გალიციზმები, ბელგიზმები, კანადიანიზმები და გელვეტიზმები ახასიათებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, ადმინისტრაციულ საქმეთა სფეროს, ასევე ფრანგთა, ბელგიელთა, კანადელთა და შვეიცარიელთა საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროსაც.

დენოტატიური დივერგენტები არის ლექსემები, რომლებიც აღნიშნავენ ისეთ ობიექტებს (საგნები, მოვლენები, არსებები და ა.შ.), რომლებიც საფრანგეთის, ბელგიის, კვებეკისა ან შვეიცარიის ტერიტორიაზე ფლობენ ხარისხობრივი ან ფუნქციონალური თვისებების სპეციფიკურ ნიშნებს. მაგალითად, საფრანგეთში, სიტყვაშეერთებით **école primaire** აღნიშნავენ დაწყებითი განათლების სასწავლო დაწესებულებას, რომელიც გულისხმობს საბავშვო სახლს და დაწყებით სკოლას, ბელგიასა და შვეიცარიაში კი - **école primaire** წარმოადგენს მხოლოდ დაწყებით სკოლას. კვებეკში, სიტყვით **agrégation** აღნიშნავენ პედაგოგის დანიშვნის პროცედურას შესაბამის თანამდებობაზე **agrégé** უნივერსიტეტში, საფრანგეთში **agrégation** - გულისხმობს ლიცეუმსა ან უმაღლეს სასწავლებელში მასწავლებლად დანიშვნას კონკურსის შედეგად, ბელგიაში კი - სიტყვით **agrégation** აღნიშნავენ საშუალო ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში დანიშვნას გამოცდის შედეგად და არა კონკურსით. დენოტატიური დივერგენტები წარმოადგენენ ლექსიკო - სემანტიკურ ველთა ვარიაციულობის საფუძველს. სიტყვა **collège** საფრანგეთსა და კვებეკში სხვადასხვა ობიექტებს ეწოდება. საფრანგეთში - ეს არის საშუალო სკოლის შუა კლასები, კვებეკში კი - ეს არის სასწავლო დაწესებულება საშუალო და უმაღლეს განათლებას შორის, სადაც ამზადებენ აბიტურიენტებს უმაღლეს სასწავლებელში სასწავლელად.

### სიგნიფიკატიური დივერგენტები

სიგნიფიკატიური დივერგენტები ასახავენ ფრანგული ენის სიტყვათა ცნებითი შინაარსის სპეციფიკას საფრანგეთის ტერიტორიაზე. სიტყვათა მნიშვნელობების გაფართოება და შევიწროება წარმოადგენენ საწინააღმდეგო პროცესებს, თუმცა ამ ორ პროცესთა არსი ერთი და იგივეა, რადგან იმ ცნების გაფართოებისას და შევიწროებისას, რომელსაც გამოხატავს სიტყვა - იგივეა, იცვლება მხოლოდ მისი მოცულობა (ცნება ხდება უფრო ფართო ან პირიქით - უფრო ვიწრო), ხოლო როდესაც სიტყვის მნიშვნელობაში ერთვება სხვა არსებითი ნიშნები, მაშინ სიტყვამ შეიძლება გამოხატოს ახალი ცნება. ამ პროცესთა შედეგად, ხდება ან სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, ან ახალი სიტყვის წარმოქმნა. მაგალითად: **distinction** - ზოგადფრანგული 'დაჯილდოება; ბელგ. 'შეფასება გამოცდაზე' (**distinction** - სშეესაბამება «**assez bien**» 'საკმაოდ კარგად'; **grande distinction** - «**bien**» 'კარგი'; **plus grande distinction** - «**très bien**» 'ძალიან კარგი').

### დენოტატურ - სიგნიფიკატიური დივერგენტები

მნიშვნელობის გაფართოებისა ან შევიწროების შედეგად, შეიძლება წარმოიშვას მნიშვნელობათა რაოდენობის გაზრდა საერთოფრანგული სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში. ამ თვალსაზრისით, გამოიყოფა დენოტატურ - სიგნიფიკატიური დივერგენტები: მოცემული სიტყვის მნიშვნელობათა საერთო სტრუქტურაში ჩაერთვება ლოკალური მნიშვნელობა დამატებითი დენოტატიით. მაგალითად, სიტყვა **écolage** - მა, ბელგიურ და შვეიცარიულ

ვარიანტებში, მიიღო დამატებითი მნიშვნელობა ‘სწავლის ფულის გადახდა’. ფართოდ იხმარება რა ამ მნიშვნელობით, იმავდროულად, იგი ინარჩუნებს საერთოფრანგულ მნიშვნელობას ‘სწავლება(მფრინავებისა)’; გარდა ამისა, ბელგიურ ვარიანტში, ეს ლექსემა იძენს კიდევ ერთ მნიშვნელობას – ‘აეროტექნიკური მომზადება, მანქანის ტარებისა და პოლიციური გადამზადების ციკლი’. მსგავსი დივერგენტები არსებობს სხვა სიტყვებშიც: - **classique** – ბელგ. 1. ‘კლასიკური (ეხება ფილოსოფიურ და ფილოლოგიურ ფაკულტეტს)’; 2. ‘სწავლა ფილოსოფიურ და ფილოლოგიურ ფაკულტეტზე’ / საერთოფრანგ. 1. ‘კლასიკური’; 2. ‘ტრადიციული’; - **clerc** – კანად. 1. ‘ნოქარი; მდივანი’; 2. ‘სტუდენტი’ / საერთოფრანგ. ‘კანტორის მუშაკი’. საკმაოდ ხშირად, დენოტატიურ - სემანტიკური დივერგენტები, ადგილობრივი მნიშვნელობით, იქმნებიან სიტყვის საერთოფრანგულ მნიშვნელობათა ერთ-ერთის გადანაცვლების შედეგად. ასეთ დივერგენტებს მიეკუთვნებიან **éduqué** – საერთოფრანგ. ‘კულტურული (კარგად აღზრდილი)’; კანად.– ‘განათლებული(კარგი განათლების მქონე)’. სპეციფიკური სახით, კვებეკში ფუნქციონირებს სიტყვა **mineure** – საერთოფრანგ. **mineur** ‘მეორეხარისხოვანი’ და **majeure** – საერთოფრანგ. **majeur** ‘მთავარი’. კვებეკურ ვარიანტში, **mineure** იძენს მნიშვნელობას ‘მეორეხარისხოვანი დისციპლინა’(სასწავლო დაწესებულებაში), **majeure** – სპეციალიზაცია (ძირითადი დისციპლინა). მნიშვნელობათა რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, საერთოფრანგული სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში და დენოტატიურ - სემანტიკურ დივერგენტთა წარმოქმნაში იზრდება ლექსიკურ - სემანტიკური ველის «განათლება»-ს ვარიაციულობა ფრანგულიენის ტერიტორიალურ ვარიანტებში.

### ლიტერატურა:

- Huchon Mireille, Histoire de la langue française, Paris, 2002  
 Tritten, Jean-Louis, Histoire de la langue française, Paris, 1999  
 Valdman A, Albert, Le français hors de France, Paris, Champion, 1978

**Tsiuri Akhvlediani, Mariam Burchak-Abramovich**

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

e-mail: [tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge](mailto:tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.01>

**SJIF 2025:** 8.584

## **Lexico-semantic variation in the territorial variants of the French language**

### **Abstract**

The article presents the results of an onomasiological-semasiological analysis of the lexico-semantic field of “education” in four variants of the French language (those of France, Belgium, Switzerland, and Canada). The research clarified the similarities and differences at the denotative and significative levels, subsequently highlighting the denotative, significative, and denotative-significative divergences. The presence of overlap at both the denotative and significative levels prompts a discussion on the variation within the lexico-semantic field.

Within the semantic structure and through the emergence of denotative-significative divergences, the variation in the lexico-semantic field of “education” increases across the territorial variants of the French language as a result of the growing number of meanings.

Within the lexico-semantic system of the territorial variants of the French language (those of France, Belgium, Switzerland, and Quebec), a rich layer of denotative, significative, and denotative-significative elements has developed. The domain of semantic divergences includes lexemes that are commonly used across different territories but differ in meaning at both the denotative and significative levels. Furthermore, similar deviations may affect functional and semantic categories, which is reflected in the meanings of words. As a result of these deviations, it is possible to distinguish denotative, significative, and functional-semantic divergences.

**Key words:** lexico-semantic field; territorial variants of the French language; inner form of the word; signified and signifier; denotative divergences; significative divergences; denotative-significative divergences.

**რეკენზენტი:** პროფესორი ატია იუსუფი